საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ბიოფიზიკის ინსტიტუტი

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ბიოფიზიკის ინსტიტუტის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და ინსტიტუტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ინსტიტუტის დებულებას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დებულების დამტკიცების შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია ინსტიტუტის დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

3. ინსტიტუტი შექმნილია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით (30/12/2011 წ., ოქმი N13)

მუხლი 2. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა, საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული თვალთახედვა

   ა) ბიოფიზიკის ინსტიტუტი (შემდგომში – ინსტიტუტი) არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნებისთვის შექმნილი ინსტიტუტი, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) კონტროლის პირობებში ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობას ბიოფიზიკის მიმართულებით.

   ბ) ინსტიტუტის მისიაა, წვლილი შეიტანოს თანამედროვე ბიოფიზიკის განვითარებაში, რაც გულისხმობს კვლევებს ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა: მოლეკულური ბიოფიზიკა, ფოტობიოლოგიური პროცესების ბიოფიზიკა, ბიოტექნოლოგიები, ახალი სამედიცინო ტექნოლოგიები. ყველა მიმართულება გულისხმობს ფუნდამენტური მეცნიერებების, ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების განვითარებას მოლეკულურ, გენურ-ინჟინრულ, უჯრედული ტექნოლოგიების დონეებზე და შესაბამისი ცოდნის გავრცობას უმაღლესი განათლების სფეროში. კერძოდ, ბიოფიზიკის მიმართულებით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას.

2. ინსტიტუტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

ა) ბიოფიზიკის ინსტიტუტში პროფესორების, მკვლევრებისა და სტუდენტების თანამშრომლობით იქმნება კვლევის და განათლების ერთიანი სივრცე; ინსტიტუტის საქმიანობა ეფუძნება უნივერსიტეტის საქმიანობის სამ ძირითად პრინციპს, ესენია:
- აკადემიური თავისუფლება;
- სინდისის თავისუფლება;
- არჩევანის თავისუფლება

3. ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ა) განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინსტიტუტს აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

ბ) ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით პროექტს ადგენენ უნივერსიტეტის პროფესორები და/ან მკვლევრები, რომლებიც ქმნიან ინსტიტუტის საბჭოს.

გ) ინსტიტუტის საბჭო ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას.

მუხლი 3. ინსტიტუტის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის დირექტორი და ინსტიტუტის საბჭო, რომელიც შედგება ინსტიტუტის ყველა პროფესორისა და მკვლევრისაგან.

2. ინსტიტუტის საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. საბჭო უფლებამოსილია, თუკი საბჭოს სხდომას ესწრება ინსტიტუტის საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 4. ინსტიტუტის საბჭო

1. განიხილავს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამასთან დაკავშირებით;

2. ითანხმებს ინსტიტუტის დირექტორის მიერ შემუშავებულ ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

3. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ინსტიტუტის ახალი წევრების კანდიდატურებისა და მათდამი წასაყენებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

4. ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს ინსტიტუტის დებულების პროექტს.

მუხლი 5. ინსტიტუტის დირექტორი

1. ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საქმიანობას;

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით პირს თანამდებობაზე ირჩევენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;

3. აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროგრამას, ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტსა და ინსტიტუტის დებულებას;

4. აკადემიურ საბჭოს წარუდგენს წინადადებებს სამუშაოზე ასაყვანი მკვლევართა და პროფესორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით;

5. ყოველი წლის ბოლოს აკადემიურ საბჭოს წარუდგენს საქმიანობის წლიურ ანგარიშს.

მუხლი 6. საბჭოს სხდომა

1. ინსტიტუტის საბჭოს სხდომას იწვევს დირექტორი ან ინსტიტუტის საბჭო.

2. საბჭო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ ნახევრისა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

3. საბჭოს სხდომის შემდეგ დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

4. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს „საბჭოს გადაწყვეტილების" სახით.

მუხლი 7. ინსტიტუტის პერსონალი

1. ინსტიტუტს ჰყავს აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და დამხმარე პერსონალი.

2. ინსტიტუტის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში.

3. აკადემიური პერსონალის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით დადგენილი წესით.

4. ინსტიტუტს შესაძლოა ჰყავდეს ასევე ასოცირებული წევრები: სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში (მათ შორის – უცხოეთში) მოღვაწე მეცნიერები, რომლებიც (ინსტიტუტის/უნივერსიტეტის მხრიდან ანაზღაურების გარეშე) მჭიდროდ თანამშრომლობენ ინსტიტუტის პერსონალთან და არ არიან ინსტიტუტის საბჭოს წევრები.

მუხლი 8. ინსტიტუტის ქონება და ბიუჯეტი

1. ინსტიტუტის პროფესორები და მკვლევრები სარგებლობენ უნივერსიტეტის ქონებით უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ინსტიტუტის პროგრამების დაფინანსების წყაროებია: საბიუჯეტო ასიგნებანი უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, სამეცნიერო და/ან სხვა სახის გრანტები, შემოწირულობანი, სამეურნეო საქმიანობით მიღებული და სხვა შემოსავლები, რომლებიც კანონით არის ნებადართული.

3. ინსტიტუტის და პროგრამების ფინანსების განკარგვა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 9. ინსტიტუტის გარდაქმნა და გაუქმება

1. ინსტიტუტის გარდაქმნის ან გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 10. ცვლილების შეტანის წესი

1. დებულებაში შესატან ცვლილებას ინსტიტუტის დირექტორთან ერთად შეიმუშავებს და აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭო, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.